ᲐᲗᲔᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ
MONTHLY ONLINE DIGEST

ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ
BULLETIN

ივლისი, 2024

ათეა-ს სიახლეები

სექტემბრის თვეში ინტერნეტ სივრცეში ათეა-ს ახალი ვებ-გვერდი ჩაეშვება

ერთად ძლიერი თვითმმართველობისთვის!

www.nala.ge

განახლებული და თანამედროვე დიზაინის მქონე ვებ-გვერდი www.nala.ge მოიცავს სრულ ინფორმაციას ათეა-ს, მისი წევრი მუნიციპალიტეტებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ.

ვებ-გვერდის მეშვეობით, საზოგადოება მრავალფეროვან და განახლებად ინფორმაციას მიიღებს ათეა-ს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის შექმნილ სერვისებზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვებ-გვერდზე გამოყენებული იქნება საქართველოს რუკა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს დეტალურად გაეცნოს ინფორმაციას ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ.

ათეა-ს განახლებული პორტალის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმციას ვებ-გვერდის პრეზენტაციისას შეიტყობთ, ამიტომ ნუ გამოტოვებთ სიახლეებს, გამოგვიწერეთ და გამოგვყევით

ათეა-ს ეგიდით, საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მაღალმთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტებისთვის თემატური ჯგუფები დაფუძნდა

10/07/24

მაღალმთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტებისთვის შექმნილი თემატური ჯგუფის პირველი სხდომა ონის მუნიციპალიტეტში გაიმართა, სადაც ჯგუფის წევრებმა და სამინისტროების წარმომადგნლებმა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისათვის, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის პროგრამების ხელმისაწვდომობისა და ადაპტირების მექანიზმებზე იმსჯელეს.
თემატური ჯგუფის მიზანს წარმოადგენს მაღალმთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტების გამოწვევებთან, პრობლემებთან, საჭიროებებთან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დისკუსიებისა და მრავალდონიანი დიალოგის წარმოება.

ვრცლად

11/07/24

საქართველოს თვითმმართველი ქალაქების თემატური ჯგუფის პირველი სხდომა კი 11 ივლისს ქუთაისში გაიმართა.
აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პლატფორმით შეიქმნა დამატებითი ფორმატი, რომელიც ორიენტირებული იქნება თვითმმართველ ქალაქებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ინსტიტუციურ დიალოგზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს პრიორიტეტულ მიმართულებებზე ერთიანი ხედვისა და საჭიროებების აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებას.

ვრცლად

11/07/24

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ინიციატივითა და ორგანიზებით ჩამოყალიბებული ინტერმუნიციპალური პლატფორმები ინტენსიურ რეჟიმში განაგრძობენ ფუნქციონირებას.

8 და 19 ივლისს, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო - ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონების მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებისთვის ინტერმუნიციპალური პლატფორმების რიგით მეორე შეხვედრები მოეწყო.
ღონისძიებები დუშეთსა და ზუგდიდში გაიმართა და სრულად მოიცავდა პერსონალური ასისტენტის სერვისზე მსჯელობას

08/07/24

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ინტერმუნიციპალური პლატფორმის შეხვედრის შესახებ

იხილეთ ვრცლად

19/07/24

სამეგრელო - ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონების ინტერმუნიციპალური პლატფორმის შეხვედრის შესახებ

იხილეთ ვრცლად

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელშეწყობით, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული 15 საჯარო მოხელე საბერძნეთში გაემგზავრა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ევროკავშირის სისტემის შესახებ სპეციალური კურსი გაიარა.

02/07/24

თბილისმა ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომას უმასპინძლა

დედაქალაქის მერისა და ათეა-ს პრეზიდენტის - კახა კალაძის მოწვევით, თბილისს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტი მარკ კულსი, ასევე 46 ევროპული ქვეყნიდან წარმოდგენილი რამდენიმე ათეული დელეგატი ეწვია.

ღონისძიება ათეა-ს ვიცე-პრეზიდენტმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ გახსნა. შეხვედრაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ საოკუპაციო ხაზთან მდებარე მუნიციპალიტეტების - კასპისა და ზუგდიდის მერები - ვახტანგ

მაისურაძე და მამუკა წოწერია, რომლებმაც ევროპელ კოლეგებს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, რუსეთის ოკუპაციის შედეგად შექმნილი რთული ვითარების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

ვრცლად

03/07/2024

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის წევრები საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში ჩავიდნენ.
ქართულმა მხარემ სტუმრებს დეტალურად გააცნო ოკუპაციის შედეგად ადგილზე არსებული ვითარება. ყურადღება გამახვილდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ წარმოებულ ე.წ. ბორდერიზაციის პროცესზე. ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ქართველების ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასა და ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავებებზე.

ვრცლად

02-08 ივლისი, 2024წ.

ათეა-ს ხელშეწყობით, საქართველოს ასევე სტუმრობდა ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ყოფილი გენერალური მდივანი ანდრეას კიფერი.
ვიზიტის ფარგლებში ანდრეას კიფერი თბილისის, რუსთავის, ოზურგეთისა და თელავის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეხვდა.
შეხვედრის მიზანს ახალგაზრდებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის როლის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება და აღნიშნული მიმართულებით ინტერესის გაღვივება წარმოადგენდა.

ვრცლად

17-18 ივლისი, 2024წ

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის განახლებული ევროპული ქარტიის გაცნობისა და მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის ადგილობრივი დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ათეა-მ დასავლეთ საქართველოდან თანასწორობის ევროპულ ქარტიაზე ხელმომწერი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის 17-18 ივლისს ორდღიანი სემინარი გამართა.

ვრცლად

ივლისის თვეში ათეა-მ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების თანამშრომლებისთვის 4 საკონსულტაციო შეხვედრა გამართა, რომლებსაც სხვადასხვა დარგის ექსპერტები წარმართავდნენ. თემატიკა შერჩეული იყო მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული მოთხოვნის საფუძველზე და მოიცავდა სამშეებლო ზედამხედველობის და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიების გაცნობას, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების განსაზღვრას.

აღსანიშნავია, რომ ათეა მუნიციპალიტეტებისთვის საკონსულტაციო სერვისის მიწოდებას სექტემბრის თვიდან განაახლებს. ცნობისთვის, კონსულტაციაზე დასასწრებად საჭირო იქნება მარტივი რეგისტრაციის გავლა. შეხვედრის შესახებ წერილობით ეცნობება მუნიციპალიტეტებს. ინფორმაცია ასევე ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდება ათეა-ს სოციალურ ქსელებში.

ივლისი 2024

სიახლეები თვითმმართველი ქალაქებიდან

10/07/24

რუსთავის მერიის ახალი სოციალური პროგრამა- ,,პროფესიული განათლება დასაქმების ხელშეწყობისთვის"

პროგრამა, რომელიც დეფიციტური პროფესიების წახალისებას ისახავს მიზნად, მუნიციპალიტეტმა ქალაქის მერის ნინო ლაცაბიძის ინიციატივით მიმდინარე წელს დაიწყო.
10 ივლისს, პროგრამის ფარგლებში გადამზადებულ 15 რუსთაველს ლიფტის ტექნიკოსის სპეციალისტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცათ.

ვრცლად

02/07/24

რუსთავის საბავშვო ბაღების დამამთავრებელი ჯგუფის ყველა აღსაზრდელმა რუსთავის მერიისგან საჩუქრად გამოსაშვები ალბომი მიიღო

ვრცლად

თბილისში უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის და გვირაბის მშენებლობა მიმდინარეობს

აღნიშნული გვირაბი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყება და გასასვლელი მიხეილ შავიშვილის ქუჩას შეუერთდება, რომელიც პეტრე ქავთარაძის ქუჩასთან არის დაკავშირებული.

პროექტის ფარგლებში, გვირაბის მისასვლელ-გამოსასვლელი პანდუსები და ტროტუარები მოეწყობა, ასევე, ჩატარდება საიზოლაციო სამუშაოები, მოეწყობა სანიაღვრე ქსელი, დამონტაჟდება LED სანათები. ასევე, გვირაბის გასწვრივ რკინა-ბეტონის დამცავი კედლები მოეწყობა.

ვრცლად

23/07/24

თბილისის საკრებულოში „სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების“ შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც იმ სახელმწიფო უწყებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სადაც სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმი უკვე მოქმედებს.

ვრცლად

ფოთში აფროსნობის ტრადიციის გასაგრძელებლად და განსავითარებლად მნიშვნელოვანი სიახლეები იგეგმება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიზანია ტრადიციული წყლის სპორტული სახეობების განვითარება და მეტი პოპულარიზაცია, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის მიმართ ინტერესის გაზრდასა და სპორტული ტურიზმის რუკაზე ადგილის დამკვიდრებას.

ვრცლად

ფოთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსი ჩატარდა.

ვრცლად

ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ქვიშის სტადიონის მშენებლობა დასრულდა

ბათუმს, როგორც ევროპის სპორტის ქალაქს, სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სწორედ ბათუმი მასპინძლობს ევროპის ლიგის B დივიზიონის მატჩებს.

ვრცლად

ქალაქ ბათუმში მდებარე სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლისა და ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე წყალარინების ქსელისა და სატუმბი სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს. განახლებული ქსელით 50 000 ოჯახი ისარგებლებს

ვრცლად

04-06 ივლისი, 2024

ქუთაისმა ჰოკეი 5 - ში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა

შეჯიბრებები 3 დღის განმავლობაში მინდვრის ჰოკეის ახალ სტადიონზე მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ 16 წლამდე ჭაბუკთა გუნდები საქართველოდან, დანიიდან, ლუქსემბურგიდან, ბულგარეთიდან და სომხეთიდან.

ვრცლად

მოსახლეობის სოციალური
გააქტიურების, სამოქალაქო
საზოგადოების ორგანიზაციების
ჩართულობისა და დასაქმების
შესაძლებლობების შენარჩუნების
მიზნით, ფინანსური მხარდაჭერის
მისაღებად ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიამ პროექტის „ქუთაისი:

ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში კონკურსი გამოაცხადა.

ვრცლად

სიახლეები მუნიციპალიტეტებიდან

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩართვის მიზნით დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია მოქალაქეთა საპროექტო განაცხადების მიღებას განაგრძობს. „დაგეგმე შენი ბიუჯეტის“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტები დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ‘’თაფლის ტესტირების ლაბორატორია’’ გაიხსნა. პროექტი განხორციელდა გრასრუტების საგრანტო პროგრამის (GGP) ფარგლებში

ვრცლად

05/07/24

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში, ესეების კონკურსის „ნაადრევი ქორწინება და არსებული საზიანო პრაქტიკები“ დასკვნითი ეტაპი გაიმართა. კონკურსში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ვრცლად

02/07/24

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა მუნიციპალიტეტში არსებულ ბიბლიოთეკებს სხვადასხვა ჟანრის 500 ერთეული წიგნი გადასცა.

ვრცლად

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია 14 დან 29 წლამდე ახალგაზრდებს სათათბირო ორგანოს ,,ახალგაზრდული საბჭოს“ არჩევნებში მონაწილეობას სთავაზობს.

საბჭოს მიზანია ახალგაზრდული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის განხორციელებისას, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და მონაწილეობა ახალგაზრდული პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის 2021-2024 “ მოთხოვნების შესაბამისად.

ვრცლად

გორის მუნიციპალიტეტში, პროექტის
"ART HOUSE 20 24" ფარგლებში
ახალგაზრდებისთვის ფოტოგრაფიის

უფასო კურსი დასრულდა.პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა ფოტოგრაფიის საფუძვლები შეისწავლეს, რის შემდეგაც შესაბამისი სერტიფიკატებიც გადაეცათ.

ვრცლად

09/07/24

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტის “startup gurjaani“ ახალგაზრდა გამარჯვებულებს ფულადი ჯილდო - თითოეულს 3000 ლარი გადასცა. გამარჯვებულთა შერჩევა ენერგეტიკის, ეკოლოგიისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე განხორციელდა.

ვრცლად

დედოფლისწყაროს მუნიციპლიტეტის სოფელ არხილოსკალოში ახალი საწარმო ამოქმედდა, რომელიც HACCP სტანდარტების დაცვით დამზადებულ ქართულ ტყემალს და აჯიკას სარეალიზაციოდ ევროპის ბაზარზე გაიტანს.

ვრცლად

გურჯაანში კავკასიის უნივერისტეტის გასტრონომიული აკადემიის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

გასტრონიმიული აკადემიის მშენებლობის დასრულება მომავალი წლის ზაფხულისთვის იგეგმება.გურჯაანის გასტრონომიული აკადემია კავკასიის რეგიონში ყველაზე მასშტაბური კულინარიული სასწავლებელი იქნება.

24/07/24

ტრადიციული გასტრონომიის
პოპულარიზაციისა და ამ

მიმართულებებით ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების გამოვლენა-განვითარების მიზნით, ზუგდიდის მერიამ ესეების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა.

ვრცლად

14/07/24

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალთერჯოლაში მზის სისტემის ელექტროსადგური გაიხსნა. საწარმო, პირველ ეტაპზე , 200000 კილოვატ ელექტრო ენერგიას გამოიმუშავებს.პროექტი მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გარდა, მუნიციპალიტეტში ბიზნესის ხელშეწყობას ემსახურება.

ვრცლად

03/07/24

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ნეო უნივერსიტეტის Skillwill Georgia-ს თანამშრომლობის ფარგლებში ციფრული ტექნოლოგიებით დაინტერესებული, 30 ლაგოდეხელი ახალგაზრდის სწავლა სრულად დაფინანსდება.

ვრცლად

18/07/24

მარნეულის მუნიციპალიტეტის პირველი პირები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებს შეხვდნენ.
ყურადღება გამახვილდა მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის პროცესში ქალთა ჩართულობაზე.

ვრცლად

მესტიის მუნიციპალიტეტში მესტიის მოკლემეტრაჟიანი მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს.წლევანდელი კინოფესტივალის საპატიო სტუმარი ლეგენდარული რაინჰოლდ მესნერია,

რომელმაც ჯერ ალპებში, შემდეგ კი მსოფლიოს ურთულეს მწვერვალებზე მარტო და ჟანგბადის გარეშე ასვლის ტრადიცია დაამკვიდრა.

ვრცლად

12/07/24

ონის მუნიციპალიტეტის მერმა მოადგილეებთან ერთად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს უმასპინძლა.ქართულმა მხარემ სტუმრებს მუნიციპალიტეტის პოტენციალი და განვითარების სამომავლო გეგმები გააცნო.

ვრცლად

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, პირველად, მუნიციპალიტეტის მერიაში, პროგრამა - ,,სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით“ ამოქმედდა.



ავარიულ სახლებში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი 4 ოჯახისთვის

სამტრედიაში ახალი სახლების მშენებლობა მიმდინარეობს

ვრცლად

ქედის მუნიციპალიტეტში "ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ ხელშეწყობის" პროგრამა ამოქმედდა. პროგრამის ბიუჯეტი 45 000 ლარს შეადგენს.

ვრცლად

23/07/24

შუახევის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭომ განახლებული შემადგენლობით პირველი ხდომა გამართა. შეხვედრაზე ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე, პრიორიტეტულ მიმართულებებზე, ინიციატივებსა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

ვრცლად

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარებისთვის ადგილობრივი დონის ეროვნული დოკუმენტი შეიქმნა

მუნიციპალურ პრიორიტეტად .მდგრადი განვითარების 10 მიზანი და 22 ამოცანა განისაზღვრა.

ვრცლად



ჩოხატაურში სამოქალაქო ბიუჯეტის გამარჯვებული პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. მოსახლეობის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული მამოგრაფიაზე დაფუძნებული უფასო სკრინინგ პროგრამის დანერგვის პროექტი გახდა, რომლითაც 40-დან 70-წლამდე ასაკის ქალბატონები ისარგებლებენ.

ვრცლად

27/07/24

ხარაგაულის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში დასრულებული პროექტების მონიტორინგი განახორციელა.აღნიშნული პროგრამის შესახებ მუნიციპალიტეტში ამ დრომდე აქტიური საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს.

ვრცლად

03/07/24

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-„ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს“ შეხვედრა გაიმართა.მუნიციპალიტეტის

ხელმძღვანელმა პირებმა და ახალგაზრდებმა სამომავლო გეგმები განიხილეს.

ვრცლად

ხონის მუნიციპალიტეტის მერია შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებსა და შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი ბავშვების მშობლებს ხონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საკითხებზე მომუშავე საბჭოში გაწევრიანებას სთავაზობს.

01/07/24

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით ჩატარებული, ბავშვებისა და ბავშვიანი

ოჯახების საჭიროებათა კვლევის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა.

ვრცლად

08/07/24

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, რეკომენდაციების, სამოქალაქო ინიციატივების, მოსაზრებებისა და რჩევების შემუშავების მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა.

ვრცლად

ნუ გამოტოვებთ სიახლეებს, გამოგვიწერეთ და გამოგვყევით

ათეა-ს საინფორმაციო დაიჯესტის გამოწერა შესაძლებელია ბმულზე რეგისტრაციის გავლით: https://forms.gle/Lq3NCy8ghmxxGc1E9

აღნიშნული ბიულეტენის ნახვა ასევე შესაძლებელია ასოციაციის ვებ-გვერდზე : https://nala.ge/library

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ
MONTHLY ONLINE DIGEST

ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ
BULLETIN

მომდევნო საინფორმაციო ბიულეტენს ასოციაცია სექტემბრის ბოლოს მოგაწვდით

ათეა გისურვებთ წარმატებას !